



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი

MOD 6 17 00000653

03/08/2017

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და
ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის N297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ანტიკორუფციული გარემოს გაუმჯობესების, კეთილსინდისიერების ამაღლებისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - ლელა ჩიქოვანი;

ბ) თანათავმჯდომარე - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (შემდგომში - გენერალური შტაბი) უფროსის პირველი მოადგილე - პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა;

გ) თავმჯდომარის მოადგილე - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი - დავით გუნაშვილი;

დ) საბჭოს წევრები:

დ.ა) სამინისტროს გენერალური ინსპექციის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - თორნიკე გაზდელიანი;

დ.ბ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი - ზურაბ ზერეკიძე;

დ.გ) გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი - თეიმურაზ ბეჟოშვილი;

დ.დ) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს ფინანსური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - მერაბ იოსელიანი;

დ.ე) სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს უფროსის მოადგილე - ზაზა ნაზარიშვილი;

დ.ვ) სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოადგილე - მარიამ ტაბატაძე;

დ.ზ) გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მოადგილე - პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი;

დ.თ) გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ვასილ გარსევანიშვილი;

დ.ი) გენერალური შტაბის J-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ლოგისტიკური ოპერაციების დაგეგმვის სამმართველოს სწავლებების ლოგისტიკური მხარდაჭერის დაგეგმვის განყოფილების უფროსი ოფიცერი - პოლკოვნიკი არჩილ არუსტაშვილი;

დ.კ) გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის სამხედრო განათლების სამმართველოს სამხედრო განათლების დაგეგმვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ვიცე-პოლკოვნიკი ნოდარ კოპალეიშვილი.

2. საბჭოს მდივნის ფუნქციის განხორციელება დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელს.

3. საბჭო:

ა) ეროვნული ანტიკორუფციული მოთხოვნების შესაბამისად, შეიმუშავეს წინადადებებს სამინისტროს სისტემაში ანტიკორუფციული გარემოს გაძლიერებისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკის გასატარებლად;

ბ) განახორციელებს კორუფციული რისკის შემცველი პროცესების ანალიზს, შეფასებას და რისკის შემცირების მიზნით, შეიმუშავეს ოპტიმალურ ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებს;

გ) შეიმუშავეს წინადადებებს სამინისტროს სისტემაში კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული განვითარების პროგრამებთან დაკავშირებით;

დ) ხელს უწყობს ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის წარმატებულ განხორციელებას სამინისტროს სისტემაში;

ე) რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს საქართველოს თავდაცვის მინისტრს გაწეული საქმიანობის შესახებ.

4. საბჭოს სხდომები გაიმართება საჭიროებისამებრ საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

5. საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომის მონაწილე ყველა წევრი და საბჭოს მდივანი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის N MOD 2 15 00000093 ბრძანება.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

მმართველობა
მინისტრი
იზორია ლევან

